დანართი №1

განსაზღვრულია

ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის #9 ოქმით

დამტკიცებულია

სადისერტაციო საბჭოს 2024 წლის 20 ნოემბრის #4 გადაწყვეტილებით

დოქტორანტის ინსტრუქცია

1. დისერტაციის გაფორმება

1.1. ზოგადი დებულებანი :

ა) ენა: დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის ენაზე (ქართული) ორთოგრაფიული, სტილისტური და სინტაქსური შეცდომების გარეშე;

ბ) მოცულობა: დისერტაციის მოცულობა, როგორც წესი, უნდა იყოს არანაკლებ 150 და არა უმეტეს 250 გვერდისა, გაფორმებული წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული, დანომრილი გვერდი, გარდა დანართებისა;

გ) სტრუქტურა: დისერტაციის სტრუქტურას შეარჩევს ავტორი, თემატიკის მიხედვით, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესების გათვალისწინებით;

დ) ქაღალდი: დისერტაცია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297X210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე; ორიენტაცია – ვერტიკალური. ნაშრომი იბეჭდება მხოლოდ ცალ გვერდზე. ილუსტრაციები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია შესრულდეს A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების დროს დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მაგრამ აღნიშნული გვერდები არ უნდა იყოს აიკინძული ძირითად ტექსტთან ერთად. დისერტაცია უნდა აიკინძოს თერმულად, ყველა დანართთან ერთად, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისისა;

ე) მინდორი: მარცხენა მხარე – 30 მმ., დანარჩენი მხარეები – 20 მმ. (მხოლოდ ელექტრონული ვერსიისთვის). ამობეჭდილ და აკინძულ ვერსიაში დასაშვებია მითითებული ზომებიდან გადახრა;

ვ) შრიფტი: ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს შრიფტით Sylfaen, შრიფტის ზომა - 12, თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება უფრო დიდი ზომის შრიფტის გამოყენება; მაგალითად: თავის დასახელება - Sylfaen, ზომა

16, ქვეთავის დასახელება - Sylfaen, ზომა 14. დაუშვებელია შემჭიდროებული ტიპის შრიფტის გამოყენება;

ზ) გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით ქვედა მარჯვენა კუთხეში. დაუშვებელია თავისუფალი გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდის ნომრის განმეორება. ნუმერაციის შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. სატიტულო, ხელმოწერებისა და საავტორო უფლებათა ამსახველი გვერდები არ ინომრება. ნომრის ნაცვლად, მითითებული უნდა იყოს რომაული "I", "II" და "III";

თ) სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტის ინტერვალი უნდა იყოს 1,5; მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, აბსტრაქტი, სქოლიო და სხვ. ინტერვალი – 1);

ი) თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება უნდა აისახებოდეს ნაშრომის შინაარსში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას (იხ.: პუნქტი „ვ"). ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი გაგრძელდეს იმავე გვერდიდან, რომელზეც დასრულდა წინა ქვეთავი;

კ) ლიტერატურის ციტირება: ციტირებული ლიტერატურა ძირითად ტექსტში უნდა გაფორმდეს APA-ს აკადემიური სტილის შესაბამისად (იხ.: N 4 დანართი);

ლ) სქოლიო: შრიფტის ზომა 10. სქოლიო ავსებს და ამდიდრებს ტექსტში მოცემულ ძირითად ინფორმაციას. ტექსტში სქოლიოს ჩართვა მხოლოდ მაშინაა რეკომენდირებული, როდესაც ის აძლიერებს, ამყარებს ძირითად ტექსტში გაშლილ მსჯელობასა თუ გამოთქმულ აზრს. თითოეულ სქოლიოში მხოლოდ ერთი საკითხი უნდა იყოს განხილული;

მ) დისერტაციის შემადგენელი ნაწილები: დისერტაციის გაფორმებისას აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებისა და თანმიმდევრობის გათვალისწინება გარდა ვარსკვლავით აღნიშნული პუნქტებისა.

სექცია	**სტანდარტული ვერსია**	**საგამომცემლო ვერსია**
სატიტულო გვერდი	✓	✓
ხელმოწერების გვერდი	✓	✓
საავტორო უფლების გვერდი	✓	✓
მადლიერების გვერდი*	✓	✓

აბსტრაქტი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	✓	✓
შინაარსი	✓	✓
ცხრილების ნუსხა (ცხრილების გამოყენებისას ნუსხის შედგენა აუცილებელია)	✓	✓
ნახაზების ნუსხა (ნახაზების გამოყენებისას ნუსხის შედგენა აუცილებელია)	✓	✓
ილუსტრაციების ნუსხა (ილუსტრაციების გამოყენებისას ნუსხის შედგენა აუცილებელია)	✓	✓
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (აუცილებელია აბრევიატურის გაშლა)	✓	✓
ანბანური საძიებელი*	✓	✓
ძირითადი ტექსტი: შესავალი; ლიტერატურის მიმოხილვა; კვლევა; შედეგები და მათი განსჯა; დასკვნა.	✓	✓
სქოლიო*	✓	✓
ციტირებული ლიტერატურის ნუსხა	✓	✓
დანართები (არსებობის შემთხვევაში)	✓	✓

შენიშვნა: ზოგიერთ შემთხვევაში, პრაქტიკული თვალსაზრისით, დასაშვებია დანართები უძღოდეს ციტირებული ლიტერატურის ნუსხას.

1.2. შესავალი ნაწილის გვერდები :

ა) სატიტულო გვერდი (აუცილებელი): უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ფორმას. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს დისერტაციის დასახელებას, დოქტორანტის გვარს, სახელსა და ტექსტს:

„წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“; „ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“; „თბილისი, საქართველო“.

სატიტულო გვერდზე ასევე უნდა აღინიშნოს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული დისერტაციის დაცვა. ეს გვერდი არ ინომრება. სატიტულო გვერდის ნიმუში და ელექტრონული შაბლონი მოცემულია # 1 დანართში.

ბ) ხელმოწერების გვერდი (აუცილებელი): უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ფორმას. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის დედანს უნდა ჰქონდეს ავთენტური ხელმოწერები, შესრულებელი ლურჯი ფერის მელნით. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს დისერტაციის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი.

გვერდი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

სასწავლებლის დასახელებას: „ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“; ფაკულტეტის დასახელება;

ტექსტი: „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით [სახელი გვარი] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვიძლევით რეკომენდაციას, რათა ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სადისერტაციო საბჭომ განიხილოს ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად“;

თარიღი: რიცხვი/თვე/წელი

ხელმოწერების გვერდი უნდა იყოს დამოწმებული ხელმძღვანელ(ებ)ისა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით. ხელმოწერების გვერდის ელექტრონული შაბლონი მოცემულია წინამდებარე ინსტრუქციის #2 დანართში.

გ) საავტორო უფლების გვერდი (აუცილებელი): უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის სტანდარტული ვერსიის დედანს უნდა ჰქონდეს ავტორის ავთენტური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი გამიზნულია თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიისათვის სადისერტაციო ნაშრომის განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირებისა და სხვ.) უფლების მისანიჭებლად.

ეს გვერდი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. **დაწესებულების დასახელებას** - „ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და

სემინარია"; სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის თვესა და წელს; ავტორის გვარს, სახელს; თემის დასახელებას; სადოქტორო პროგრამის დასახელებას; მისანიჭებელ კვალიფიკაციას;

2. **იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს:** „ინდივიდუალური პიროვნებების ან დაწესებულებების მიერ, ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს „ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას", ხოლო ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ - საგამომცემლო უფლებებს. მთლიანი ნაშრომის ან/და მისი ცალკეული კომპონენტების რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე აიღო შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც დამოწმებულია ლიტერატურის ციტირების დროს, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას". საავტორო უფლების გვერდის ელექტრონული შაბლონი მოცემულია წინამდებარე ინსტრუქციის #3 დანართში;

დ) მიძღვნის გვერდი (სურვილის შემთხვევაში): აღნიშნული გვერდის ტექსტი და ფორმა სრულდება ავტორის სურვილის მიხედვით. იგი არ უნდა აღემატებოდეს 30 სიტყვას. მიძღვნის გვერდი არ ინომრება. მასზე ვრცელდება ზოგადი დებულებით დადგენილი შესაბამისი წესი;

ე) აბსტრაქტი (აუცილებელი): უნდა მოიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი (მაგ.: საკვლევი პრობლემატიკა, ძირითადი ამოცანები, მეცნიერული სიახლე, სამეცნიერო სიახლის პრაქტიკაში გამოყენების პოტენციალი) და ძირითადი მიღწევები. აბსტრაქტი არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, სურათებს, ნახაზებს, სქემებს და სხვ. აბსტრაქტის მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს გაავრცელოს აბსტრაქტი როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12; სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1. აბსტრაქტი შესრულებული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამისა და ინგლისურ ენებზე;

ვ) შინაარსი (აუცილებელი): დისერტაცია უნდა შეიცავდეს შინაარსს, შესრულებულს პროგრამა Word-ის შესაბამისი ფუნქციის მეშვეობით; ბეჭდურ სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1, შრიფტის ზომა – 12, აბზაცებს შორის ინტერვალი – 6-12 პუნქტი;

ზ) ცხრილების ნუსხა (აუცილებელი): ინტერვალი უნდა იყოს 1, შრიფტის ზომა – 12. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა

განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

თ) ნახაზების ნუსხა (აუცილებელი, ნახაზების არსებობის შემთხვევაში): ინტერვალი უნდა იყოს 1, შრიფტის ზომა - 12. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“,„–“, „_“.

ი) ილუსტრაციების ნუსხა (აუცილებელი, ილუსტრაციების არსებობის შემთხვევაში): ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“,„–“, „_“.

კ) გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (აუცილებელი): დისერტაციაში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილი არაა, სასურველია, ავტორმა, ჩამონათვალთან ერთად, შემოგვთავაზოს მათი ახსნაც, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომის უკეთ აღქმას;

ლ) ანბანური საძიებელი (სურვილის შემთხვევაში);

მ) მადლიერების გვერდი (სურვილის შემთხვევაში): ავტორს აქვს უფლება სადისერტაციო ნაშრომში გამოხატოს მადლიერება ყველა იმ პირის მიმართ, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით გარკვეული დახმარება გაუწიეს მას სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს. ამასთანავე, მათი მოხსენიებისას დისერტანტმა მოკლედ და მკაფიოდ უნდა აღნიშნოს მადლიერების მიზეზი (გაწეული დახმარების ფორმა, მაგ.: ფინანსური დახმარება, მივლინების ორგანიზება, კვლევისათვის საჭირო მასალებით დახმარება, კონსულტაცია და ა.შ.). აღნიშნული გვერდის ტექსტს ავტორი წარმოადგენს სურვილისამებრ. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

1.3. ძირითადი ტექსტი

ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს **შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას, მიღებულ შედეგებსა და მათ განსჯას, დასკვნას.** თუ შედეგების განსჯა დაყოფილია რამდენიმე ქვეთავად, მაშინ დასაშვებია ლიტერატურის მიმოხილვისა და შედეგების განსჯის ერთმანეთთან შეჯერება.

ა) შესავალი: შესავალ ნაწილში დისერტაციაში დასმული პრობლემატიკა განიხილება მეცნიერული სიახლის, აქტუალურობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით. მასში მოკლედ და ლაკონიურად უნდა იქნეს დასმული სამცნიერო დარგის ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტასაც ეძღვნება სადისერტაციო

ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია ვიწრო დარგის სპეციალისტებისა და არა მკითხველთა ფართო წრისათვის. შესავლის მოცულობა სასურველია არ აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს;

ბ) ლიტერატურის მიმოხილვა: ლიტერატურის მიმოხილვაში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს: საიდან მომდინარეობს დისერტაციაში განხილული სამეცნიერო დარგის პრობლემატიკა? რა არის უკვე ცნობილი მის შესახებ? რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლების გადაჭრისათვის? რა ნაკლოვანებები აქვს უკვე ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში?

მიუხედავად იმისა, რომ სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება ეძღვნებოდეს ისტორიული ხასიათის პრობლემას, ლიტერატურის მიმოხილვაში განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება უახლეს, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო მასალაზე. ლიტერატურის მიმოხილვის მოცულობა სასურველია არ აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 30%-ს;

გ) შედეგების კვლევა: შედეგების კვლევის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს, წარმოადგინოს იგი მისთვის სასურველი ფორმით. ქვეთავების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

დ) შედეგების განსჯა: შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო თემატიკაზე; ავტორს აქვს უფლება, იგი მისთვის სასურველი ფორმით წარმოადგინოს. ქვეთავების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

ე) დასკვნა: სადისერტაციო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომლებიც დისერტანტმა მოკლედ და ლაკონიურად უნდა ჩამოაყალიბოს.

1.4. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა:

ა) ზოგადი დებულებანი: ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს, ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით. ნუსხაში წყარო უნდა მიეთითოს იმ ენაზე, რა ენაზეც არის შექმნილი. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნეს დაცული APA სტილი.

APA სტილის გამოყენების ინსტრუქცია მოცემულია #4 დანართში.

1.5. დანართ(ებ)ი:

ა) ზოგადი დებულებანი: დანართი შეიძლება მოიცავდეს კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, თარგმანს, ილუსტრაციებს, სურათებს, მონაცემთა ცხრილებს, ნახაზებს, დიაგრამებს, სქემებსა და სხვ.;

ბ) საავტორო უფლებები: როდესაც დისერატაციაში გამოყენებულია საავტორო უფლებებით დაცული მასალები, მაშინ დანართებში ცალკეული გვერდ(ებ)ის სახით უნდა დაემატოს საავტორო უფლებაზე ნებართვის წერილ(ებ)ი.

2. დისერტაციის ელექტრონული ვერსია

სადისერტაციო ნაშრომი უნდა ჩაიწეროს *.pdf ფორმატში CD-ROM ან DVD-ROM დისკებზე, ან სხვა ელექტრონულ მატარებელზე. დისკზე უნდა იქნეს მითითებული ავტორის გვარი, სახელი და დისერტაციის დასახელება.

3. საგამომცემლო ვერსია

ა) ზოგადი დებულებანი: ავტორს აქვს უფლება შეამციროს სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა გამომცემლობის მოთხოვნის შესაბამისად ისე, რომ არ დაზარალდეს ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა. დისერტაციაში ჩართული, უკვე გამოქვეყნებული სტატიები დისერტანტმა ცალკე თავის სახით უნდა წარმოადგინოს;

ბ) ფორმატირება: თანხმდება გამომცემლობასთან. ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა არ უნდა შეიცვალოს. თუ დისერტაციაში ჩართულია სტატიები, მაშინ მათ წარმოსადგენად გამოიყენებენ შესაბამისი ჟურნალის ფორმატირების სტილს;

გ) ქაღალდი: დისერტაციის საგამომცემლო ვერსია უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდზე;

დ) საავტორო უფლებები: თუ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული იქნება ისეთი მასალა, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით (მაგალითად: ილუსტრუციები, სპექტრები, ნახატები და სხვ.), მაშინ ავტორი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ნებართვა გამომცემლობის ან ავტორისგან მათი გამოყენების შესახებ. ყოველი საავტორო ნებართვის შესახებ შესაბამისი წერილი უნდა დაერთოს ნაშრომს.

დისერტაციის სატიტულო თავფურცელი -

დანართი 1

დოქტორანტის სახელი, გვარი [.....]

სადისერტაციო ნაშრომის

დასახელება [.....]

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა [.....]

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, მისამართი [.....]

თბილისი, საქართველო

სადოქტორო ნაშრომის დაცვის წელი და თვე [.....]

"I"

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ფაკულტეტი _____

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, ვადასტურებთ, რომ გავეცანით [*სახელი, გვარი*] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [*სადისერტა-ციო ნაშრომის დასახელება*] და ვაძლევთ რეკომენდაციას ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

- - - - - -, - - - - - - 20-- წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:

პროფესორი

პროფესორი

რეცენზენტი:_____

რეცენზენტი:_____

"II"

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

[საბჭოში დისერტაციის წარდგენის თვე და წელი]

ავტორი: სახელი, გვარი

დასახელება: [სადისერტაციო ნაშრომის დასახელება]

სადოქტორო პროგრამა: [...]

ხარისხი: [მისანიჭებელი კვალიფიკაცია]

სხდომა ჩატარდა _____

ინდივიდუალური პირების ან დაწესებულებების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს. მთლიანი ნაშრომის ან/და მისი ცალკეული კომპონენტების რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე აიღო შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც დამოწმებულია ლიტერატურის ციტირების დროს, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

„III“

გამოყენებული ლიტერატულის გაფორმების წესი

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

ციტირებული ლიტერატურა ძირითად ტექსტში უნდა გაფორმდეს APA-ს[1] აკადემიური სტილის შესაბამისად, ხოლო ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს, ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით.

1. <u>ტექსტში ციტირება</u>

APA - ს სტილით ციტირებისას, ციტირებულ ლიტერატურაში წყარო უნდა მიეთითოს იმ ენაზე, რა ენაზეც არის ის დაწერილი.

როდესაც იყენებთ პირდაპირ ციტატას ან აჯამებთ ტექსტს, ან პერიფრაზს აკეთებთ, თქვენ უნდა მიუთითოთ წყარო, ტექსტში ჩაწერილი ციტატის სახით. ის ფრჩხილებში ჩაიწერება და შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- წყაროს ავტორის (ავტორების) გვარს, თუ უკვე მითითებული არ არის ტექსტშივე;
- თუ ავტორი არ არის ცნობილი, ჩაწერეთ წყაროს სათაურის პირველი რამდენიმე სიტყვა;
- გამოცემის წელი;
- თუ წელი არ არის ცნობილი, ჩაწერეთ n.d. (no date – უთარიღო);
- გვერდის ნომერს/ნომრებს, თუ ეს შესაძლებელია;
- თუ წყაროს არ აქვს გვერდის ნომერი, მაგრამ ნომრავს აბზაცებს, შეგიძლიათ მიუთითოთ

აბზაცის ნომერი წინ მდგომი აბრევიატურით „para.“ (პარ).

---

[1]APA (American Psychological Association – ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია) სტილი შექმნილია 1924 წელს.

2. <u>ლიტერატურის ნუსხა</u>

ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს დისერტაციის ბოლოს, ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით.

APA-ს ყველა ციტატა წყაროების სიაში შეიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: ავტორი, თარიღი, სათაური და წყარო.

1. პირველი კომპონენტი არის ავტორი. ზოგჯერ ავტორი შეიძლება იყოს არა პიროვნება, არამედ ორგანიზაცია ან მეცნიერთა ჯგუფი. მაგალითად:

პიროვნება: გაბაშვილი, მ. (თარიღი). **ან** Shakespeare, W. (Date). Title. Source. ორგანიზაცია: Centers for Disease Control and Prevention. (2019, October 3). Outbreak of lung injury associated with e-cigarette use, or vaping. Retrieved October 8, 2019, from

https://www.cdc.gov/tobacco/basic_information/e-cigarettes/severe-lung-disease.html

2. ზოგჯერ საჭიროა ფრჩხილებში მხოლოდ წლის მითითება, რასაც მოსდევს წერტილი.

მაგალითად:

Author. (Date). Title. Source. გაბაშვილი, მ. **(2003)**. ან Shakespeare, W. **(1585)**

3. წყაროს ტიპის მიხედვით თქვენი სათაური იქნება განსხვავებული ფორმატით. მაგალითად:

ავტორი. სახელის ინიციალი. (თარიღი).

ან

ავტორი. სახელის ინიციალი. (თარიღი). წყარო

Author. Title. (Date).

OR

Author. Title. (Date). Source.

4. წყაროს დამოწმებისას ფორმატი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ რომელ

წყაროს იყენებთ. მაგალითად:

წიგნი: Hain, P. (2018). Mandela: His essential life. Rowman & Littlefield.

წიგნის თავი: Johnson, P. (2019). Efforts to ban Harper Lee's To Kill a Mockingbird. In R.C. Evans

(Ed.), Censored & banned literature (pp. 169–186). Salem Press.

სტატია: Steckler, R. A., & Bartkowski, J. P. (2018). "God is my first aid kit": The negotiation of health and illness among Christian Scientists. Journal for the Scientific Study of Religion, 57(3), 585–603. https://doi.org/10.1111/jssr.12533

4. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი სადისერტაციო მაცნის გაფორმების ინსტრუქცია

4.1 ზოგადი დებულებანი:

ა) ენა: მაცნე შესრულებული უნდა იყოს პროგრამისა და ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული);

ბ) მოცულობა: მაცნის მოცულობა არ უნდა იყოს 40 გვერდზე ნაკლები და 50 გვერდზე მეტი. აღნიშნულ რაოდენობაში იგულისხმება ორ ენაზე შესრულებული მაცნის ყველა გვერდი. აკინძვა- თერმული;

გ) სტრუქტურა: მაცნე უნდა შეიცავდეს:

1. აბსტრაქტს (500-800 სიტყვა);

2. სადისერტაციო ნაშრომის ზოგად დახასიათებას (იგულისხმება მოკლე და ლაკონიური ინფორმაცია თემის აქტუალობის, კვლევის მიზნის, ძირითადი ამოცანის, კვლევის საგნისა და კვლევის ობიექტის შესახებ);

3. ინფორმაციას კვლევის მეთოდების, სამეცნიერო პრობლემატიკის შესწავლის მდგომარეობის, გამოკვეთილი შედეგების/მიგნებებისა და მანამდე არსებული კვევებში გამოვლენილი ხარვეზების შესახებ;

4. ინფორმაციას ნაშრომის მეცნიერული სიახლის, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისა და პრაქტიკაში გამოყენების პოტენციალის შესახებ;

5. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის აღწერას;

6. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსის აღწერას (თავები და ქვეთავები, ჩამონათვალი და თავების მოკლე აღწერა);

7. დისერტაციის ძირითად შედეგებსა და დასკვნებს;

8. ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (სადისერტაციო ნაშრომის თემაზე დაცული კოლოკვიუმები, მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე);

9. ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების გამოქვეყნების შესახებ: სამეცნიერო სტატიები, კონფერენციები და ა.შ.

დ) ფურცლის ზომა: სადისერტაციო მაცნე უნდა შესრულდეს A5 ფორმატის 70/80-გრამიან თეთრ ფურცელზე; ორიენტაცია – ვერტიკალური;

ე) მინდორი: მარცხენა მხარე – 30 მმ, დანარჩენი მხარეები – 20 მმ;

ვ) შრიფტი: ტექსტის ძირითადი ნაწილი და აბსტრაქტი უნდა შესრულდეს Sylfaen-ით, ზომით - 10;

ზ) თავებისა და ქვეთავების დასახელებები: თავებისა და ქვეთავების დასახელების (სათაურის) შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყოველი ქვეთავი წინას აგრძელებს იმავე გვერდზე ისე, რომ არ რჩება თავისუფალი სივრცე ან გვერდი;

თ) გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა დაინომროს თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე, ცენტრში, არაბული ციფრებით. ნომრის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10;

ი) სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი უნდა იყოს 1,5, აბსტრაქტისთვის კი- 1.

4.2 სატიტულო ფურცელი

ა) სატიტულო ფურცელი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“; ხელნაწერის უფლებით; დოქტორანტის სახელი და გვარი; სადისერტაციო ნაშრომის დასახელება; სადოქტორო პროგრამა, კვალიფიკაციის კოდი; დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო მაცნე; თბილისი, წელი. <u>**იხილეთ დანართი 1 (ნიმუში).**</u>

ბ) მეორე გვერდზე უნდა მიეთითოს დასახელება იმ დაწესებულებისა და სტრუქტურული ერთეულისა, სადაც სადისერტაციო ნაშრომი შესრულდა; ხელმძღვანელი, რეცენზენტები; ასევე, დისერტაციის შემფასებელი ორგანო; ნაშრომის დაცვის დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი) და ადგილი (მისამართი). დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი ჩაიწერება ხელით. ბოლოს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი. <u>**ნიმუშისთვის იხილეთ დანართი 2.**</u>

<u>დანართი 1 - სატიტულო ფურცელი</u>

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

[სადისერტაციო ნაშრომის დასახელება]

[დოქტორანტის სახელი, გვარი]

[სადოქტორო პროგრამა]

[კვალიფიკაციის კოდი]

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი სადისერტაციო

მ ა ც ნ ე

თბილისი

..... წელი

ნაშრომი შესრულებულია ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის [კათედრის დასახელება] კათედრაზე; მიმართულება - [მიმართულების დასახელება]

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

1. სახელი გვარი, ხარისხი, წოდება

შემფასებლები (რეცენზენტები):

1. სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება;
2. სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება.

დისერტაციის დაცვა შედგება 202[_] წლის, [თარიღი], [_] საათზე, ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, სიონის 13/40, აუდიტორია [#].

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკაში, ხოლო, სადისერტაციო მაცნისა - თსას-ის ვებგვერდზე.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2023__ წლის _____ _____

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

_____

(სახელი, გვარი, ხელმოწერა და თარიღი)